

სოფელ უდაბნოდან ნარჩენების გატანის პროექტი

ა) *პრობლემის მოკლე მიმოხილვა:* სოფელში საყოფაცხოვრებო ნარჩენების უტილიზაცია ხდება მოსახლეობის მიერ, ადგილზე, ახლო-მახლო ნაგავსაყრელის და ნარჩენების გატანის პროცესის არ არსებობის გამო. უტილიზაციის პროცესი და მისი ნაშთები ამჟამად სანიტარულ და ეკოლოგიურ მდგომარეობას დასახლების ტერიტორიაზე და მის გარეთაც. პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურობას იძენს იმის გამო, რომ ტურიზმი სოფელ უდაბნოს მაცხოვრებლების დასაქმების საუკეთესო სფეროა, სოფელში ინტენსიურად მიმდინარეობს საოჯახო ტიპის სასტუმროების და საკვები ობიექტების შექმნა.

ბ) *მიზნები:* სოფლის ტერიტორიაზე სასწრაფოდაა დასამყარებელი სისუფთავე, რომ ტურისტული ბიზნესით დაინტერესებულ ადამიანებს საშუალება მიეცეთ როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ სტუმრებს მიაწოდონ შესაბამისი ხარისხის სერვისები და მოიზიდონ ტურისტების მეტი რაოდენობა.

გ) *ამოცანები:* საჭიროა სოფლის ტერიტორიის უზრუნველყოფა საკმარისი რაოდენობის ნაგვის ბუნკერებით და ნარჩენების სისტემატიური გატანის ორგანიზება.

დ) *განხორციელების გზები:*

1. სოფელ უდაბნოში ნარჩენების ბუნკერები მიზანშეწონილია დაიდგას ოთხ ძირითად შიდა ქუჩაზე, რომელთა ჯამური სიგრძეა 2500 მეტრი, დაახლოებით 100 მეტრში ერთი ბუნკერი. ასევე მიზანშეწონილია სამ-სამი ბუნკერი დაიდგას გარეჯის მონასტრის გზის სოფლის ტერიტორიის მონაკვეთზე ორივე მხარეს არსებული და მშენებარე საკვები ობიექტების სიახლოვეს. სულ საჭირო იქნება 30 ცალი ბუნკერი. სოფლის შიდა გზების მდგომარეობიდან გამომდინარე, ნარჩენების ბუნკერები მიზანშეწონილია იყოს სამამულო წარმოების, რკინის 2 მილიმეტრიანი ფურცლისაგან დამზადებული, რომლებსაც არ გააჩნია გორგოლაჭები (იხ. დანართი 1) , იცლება ხელით და მათი დადგმა ნებისმიერ ადგილასაა შესაძლებელი. ასეთი ბუნკერები უკვე 10 წელზე მეტია ათეულობით დგას საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლებში და ქალაქ საგარეჯოს ისეთ უბნებში, სადაც არაა მიზანშეწონილი ევროპული სპეცმანქანებით მომსახურება. სამამულო წარმოების ბუნკერებიდან ნარჩენები ხელით დაიტვირთება მცირე ტვირთამწეობის ჩვეულებრივ სატვირთო

მანქანაზე და მოხდება მათი გატანა კვირაში ორჯერ უახლოეს ნაგავსაყრელზე, რომელიც სოფლიდან 40 კილომეტრითაა დაცილებული.

2. მუნიციპალიტეტის საკრებულო, დასახლების საერთო კრების პეტიციაზე დაყრდნობით, მომავალი წლის ბიუჯეტში გაითვალისწინებს ბუნკერების შექმნის და ნარჩენების გატანის ხარჯებს, ხოლო მუნიციპალიტეტის გამგეობა განახორციელებს ბუნკერების და ნარჩენების გატანის მომსახურების შესყიდვას ელექტრონული ტენდერების მეშვეობით.

ე) პროექტის განრიგი:

ეტაპი	აქტივობა	ვადა
1	ელ. ტენდერის გამოცხადება 30 ბუნკერის შესყიდვაზე	2017 წ. ოქტომბერი
2	ხელშეკრულების გაფორმება 30 ბუნკერის შესყიდვაზე	2017 წ. ნოემბერი
3	ბუნკერების განთავსება სოფლის ტერიტორიაზე	2017 წ. დეკემბერი
4	ბუნკერების შესყიდვის საფასურის გადახდა	2018 წ. იანვარი
5	ელ. ტენდერის გამოცხადება სოფელ უდაბნოდან ნარჩენების გატანის მომსახურების შესყიდვაზე	2017 წ. ნოემბერი
6	ხელშეკრულების გაფორმება სოფელ უდაბნოდან ნარჩენების გატანის მომსახურების შესყიდვაზე	2017 წ. დეკემბერი
7	ნარჩენების გატანა სოფელ უდაბნოდან კონტრაქტორის მიერ	2018 წლის განმავლობაში, კვირაში ორჯერ
8	სოფელ უდაბნოდან ნარჩენების გატანის მომსახურების საფასურის გადახდა	2018 წლის განმავლობაში, ყოველი თვის ბოლოს

ვ) პრობლემის გადაჭრის მოკლე ფინანსური დასაბუთება:

	პროდუქტი/მომსახურება	განზ. ერთ.	რაოდ.	ფასი	თანხა	დაფ. წყარო
1	ნაგვის ბუნკერი	ცალი	30	262,69*	7880,70	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი
2	ნარჩენების გატანა, ერთი წლის განმავლობაში	რეისი	104	309,10**	32146,40	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი

*- ბუნკერის კალკულაცია, იხ. დანართი 2;

** - ნარჩენების გატანის კალკულაცია, იხ. დანართი 3.

აღსანიშნავია, რომ იმავე რაოდენობის ევროპული ტიპის ბუნკერების შეძენა დაჯდება 20 ათას ლარზე მეტი და მათი მომსახურება დიდი ტევადობის სპეცმანქანით დაჯდება გაცილებით ძვირი ერთ რეისზე ნარჩენების მოსალოდნელი მცირე რაოდენობის და უახლოესი ნაგავსაყრელიდან სოფლის 40 კილომეტრიანი დაცილების გამო.


ზ) შედეგების ანალიზი და შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ა) წინასწარი გათვლებით ერთი წლის განმავლობაში სოფელ უდაბნოდან მოხდება 600 ტონაზე მეტი ნარჩენების გატანა, რომლის უტილიზაციაც ამჟამად ხდება სოფლის ტერიტორიაზე, თვითნებურად მოსახლეობის მიერ.

ბ) ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს ტურისტულ ბიზნესში ჩართული დასახლებისათვის ასეთი რაოდენობის ნარჩენების მოცილების მნიშვნელობა. საინიტარული და ეკოლოგიური მდგომარეობის მოწესრიგება შესაძლებელს გახდის ტურისტებს მიეწოდოს მაღალი ხარისხის სერვისები, ე.ი დასახლება მიმზიდველი გახდება ნებისმიერი კატეგორიის ტურისტისათვის, რაც გამოიწვევს ტურისტული ნაკადების ზრდას, ტურისტული ბიზნესის კიდევ უფრო განვითარებას, უფრო მეტი ადამიანის ჩართვას ამ სფეროში, ე.ი გაჩნდება ახალი სამუშაო ადგილები,

აღმოიფხვრება სოციალური პრობლემები, შეჩერდება მიგრაციული პროცესები და საბოლოო ჯამში სტრატეგიულად უმნიშვნელოვანეს ადგილას ქვეყანას შეუნარჩუნდება ძლიერი სოფელი.

ბაზისის გეგმა



- გეგმიური ფართობი: $3,6 \text{ მ}^2$

- მოცულობა: $0,54 \text{ მ}^3$

კალკულაცია

ლითონის ბუნკერის დამზადების

	დასახელება	განზ.	რაოდენობა		ღირებულება (ლარი)	
			ნომ.	სულ	ერთ.	სულ
I მასალები						
1	ლითონის ფურცელი სისქით 2 მმ	მ ²	3,6X1,1	3,96	21,5	85,14
2	კუთხოვანა 40X40X4 მმ	მ	3,0X1,1	3,3	3,4	11,22
3	კვადრატული მილი 30X40X2 მმ	მ	0,4X1,0	0,4	1,07	0,43
4	ელექტროდი	შეკვ.	0,05X11	0,55	20	11,0
	ზუმფარა	მ	0,01X7,2	0,72	12	0,86
	საღებავი ანტიკოროზიული	კგ.	0,4X7,2	2,8	4,8	13,44
					ჯამი:	122,09
II ხელფასი						
1	დეტალების დამზადება	ც		13	2,5	32,5
2	შედულება	გრძ.მ.		11,0	2,0	22,0
3	შეღებვა	მ ²		7,2	1,5	10,8
					ჯამი:	65,3
	I + II ჯამი					187,39
	ზედნადები 10 %					18,74
	ჯამი:					206,13
	გეგმიური დაგროვება 8%					16,49
	ჯამი:					222,62
	დღგ 18 %					40,07
	სულ;					262,69

კალკულაცია

ერთი რეისი ნარჩენების გატანის

	დასახელება	განზ.	რაოდენობა		ღირებულება (ლარი)	
			ნომ.	სულ	ერთ.	სულ
1	ნარჩენების ტრანსპორტირება (ბუნკერის მოცულობა 0,54 მ ³ ნარჩენების სიმკვრივე 0.5ტ/მ3	ტ.	8,1X0,8	6,48	24,77	160,5
2	მტვირთავების ხელფასი			2	30,00	60,00
	ჯამი:					220,50
	ზედნადები ხარჯები 10 %					22,05
	ჯამი:					242,55
	გეგმიური დაგროვება 8%					19,4
1	ჯამი:					261,95
2	დღგ 18 %					47,2
3	სულ:					309,1